



# ԿԱՆՈՒՄԱՆԱՆՈՒ

ՃԱՆՏԱՆՅՈՆ ՆՋՅԻՐԹՈՒ  
ՆԿԻՆՈՏԱՆԻՈՒ ԹՄՈՏԱՆԴԹՅՈՆ  
ԵՆԴԵՊՅՆՅԵՐԻՆ ԹՆՆԱՆԵՑ



# რეკომენდაცია <sup>1</sup>

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალური  
მონაცემების დამუშავების შესახებ


---

<sup>1</sup> ეს რეკომენდაცია წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დოკუმენტს. კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან დამატებითი კონსულტაციები.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

## სარჩევი

შესავალი	1
სამართლებრივი ჩარჩო	3
რეკომენდაციები გამოყენებული ფერმინები	4
ჯანმრთელობის ღაცვის სუაროვი პერსონალურ მონაცემთა ღამუშაება	6
პაციენტის მიღება	8
სამედიცინო ღოქუმენტაციის წარმოება	11
პერსონალური მონაცემების გამქლავება	16
პერსონალური მონაცემების ელექტრონულ სისჯამეში აღრიცხვა	25
ვიღოთვალთვალი	28
სამედიცინო-ბიოლოგიური კვლავების წარმოება	31
გარღაცვლილი პირის მონაცემთა ღამუშაება	33
მედიანთან ურთიერთობა	35
მონაცემთა სუბიექტის უჭლავები	36



## შესავალი

ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია და ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, მასზე დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი მოქმედებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები რიგ შემთხვევებში შეიცავს მეტად ინტიმურ დეტალებს ინდივიდის პირადი ცხოვრების, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და მათი უკანონო გამჟღავნება შესაძლოა პირის ღირსების შელახვის, სტიგმატიზაციის, ან დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს.

მნიშვნელოვანია, სამედიცინო დანესებულებისთვის მიმართვისას პირს ჰქონდეს განცდა და ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული იქნება, რადგან არასაკმარისი ნდობის პირობებში, შესაძლოა მან თავი შეიკავოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისგან და ხელი შეუშალოს, მაგალითად, სწორი დიაგნოზის დადგენას, ან შესაბამისი მკურნალობის დანიშვნას. აღნიშნული კი ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც პირის ჯანმრთელობაზე, ისე ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებასა და ეფექტიანობაზე. ამდენად, პერსონალური მონაცემების დაცვა მხოლოდ პაციენტის ინტერესს არ წარმოადგენს, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემა მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემისთვისაც.

ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების განსაკუთრებული დაცვა არ უნდა იქცეს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებისთვის დაბრკოლებად, რადგან პაციენტის შესახებ ინფორმაციას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და წარმართვისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს დაბალანსებული მიდგომა, ერთი მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის და მისი პერსონალური მონაცემების დაცვის, ხოლო მეორე მხრივ ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირების ხელშესაწყობად.

წინამდებარე რეკომენდაციის შემუშავება განაპირობა ჯანდაცვის სექტორში დამუშავებული მონაცემების ხასიათმა, ამ მონაცემთა მოცულობამ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ პრაქტიკაში გამოვლენილმა ხარვეზებმა. რეკომენდაცია მომზადდა საქართველოს კანონმდებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის საფუძველზე. მისი მიზანია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება. დოკუმენტში მოცემულია მონაცემთა დამუშავების კანონიერების, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების თუ სხვა საკანონმდებლო ვალდებულებების შესახებ სახელმძღვანელო წესები.



## სამართლებრივი ჩარჩო

ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომლის რეალიზების არსებით კომპონენტსაც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დაცვა, გარანტირებულია მრავალი სამართლებრივი ინსტრუმენტით. ამასთან, უშუალოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დაცვისა და მისი კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად არაერთი დამხმარე სახელმძღვანელო თუ რეკომენდაციაა მიღებული; მათ შორის აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 13 თებერვლის №(97)5 რეკომენდაცია სამედიცინო მონაცემების დაცვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთი საქმის განხილვისას გაუსვა ხაზი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების მნიშვნელობას და განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ცნება ამგვარ მონაცემებზეც ვრცელდება.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის საკითხები რეგულირდება როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო დეკლარაციული და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით, როგორცაა საქართველოს მთავრობის დადგენილებები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტები.

## ჩაკომენდაციური გამოყენებული ზარმინები

ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემი - ფიზიკური პირის **ფიზიკურ ან ფსიქიკურ** ჯანმრთელობასთან, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების განევისთან დაკავშირებული **მონაცემები**, რომლითაც შესაძლებელია პირის ამჟამინდელ, წარსულში არსებულ ან სამომავლო ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება. ამგვარ მონაცემს განეკუთვნება ასევე ინფორმაცია, რომ პირი არის ჯანმრთელი ან/და პირის მიერ სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის შესახებ;
- მონაცემთა დამუშავება - **მონაცემთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა**, მაგალითად, შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა (მათ შორის, რენტგენის გამოსახულება), ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაფუძვება, ნაშლა ან განადგურება;
- მონაცემთა სუბიექტი - ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემებიც მუშავდება;
- მონაცემთა დამამუშავებელი - საჯარო დაწესებულება, ფიზიკური, ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამამუშავების მიზნებსა და საშუალებებს (წარმოადგენს მონაცემთა დამამუშავებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ პირს) და ამუშავებს მონაცემებს;



- პაციენტი - ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს, ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით;
- ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი - ექიმი, ექთანი, ფარმაცევტი და სხვა პირები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის რეაბილიტაციასთან, პალიატიურ მზრუნველობასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან. ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტები, სამედიცინო და ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერები.



## ჯანმრთელობის დასვის სწავროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნების თუ გაუმჯობესების მიზნით მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები ყოველდღიურად არაერთ დაწესებულებაში მუშავდება. მათ შორის არიან მრავალპროფილიანი საავადმყოფოები, კლინიკები, დამოუკიდებელი საექიმო და საექთნო საქმიანობის განმასხორციელებელი პირები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ლაბორატორიები, სპეციალიზებული ცენტრები (ფსიქიკური ჯანმრთელობის, ტუბერკულოზის მართვის, ნარკომანიის პრევენციის თუ სხვა მიმართულებებით), კლინიკური კვლევის ცენტრები, სადაზღვევო კომპანიები, სისხლის ბანკები, ფარმაცევტული კომპანიები, სტომატოლოგიური კლინიკები და სხვა.

ზემოაღნიშნული პირების/ორგანიზაციების მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები, მათი დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია. ამგვარ მონაცემებს შეიძლება წარმოადგენდეს პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია, ექიმთან ვიზიტის, ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის, წარსულში გადატანილი დაავადებების შესახებ ინფორმაცია, ბიოლოგიური და გენეტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, სამედიცინო მომსახურების ხარჯების (კალკულაცია) შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება სხვადასხვა გზით ხორციელდება. მაგალითად:

- სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის და მომსახურების მიღებაზე დათანხმების მომენტიდან იწარმოება პაციენტის სამედიცინო ისტორია, რა დროსაც ადგილი აქვს პერსონალური მონაცემების შეგროვებას;
- დიაგნოსტიკის, სხვადასხვა გამოკვლევების ჩატარების თუ მკურნალობის მეთოდის შერჩევის მიზნით ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემის გამოყენება;

- შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა სამედიცინო დაწესებულებიდან პაციენტის მიერ გადატანილი დაავადებების თუ სამედიცინო ჩივილების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაც;
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, როგორც წესი, ხორციელდება პერსონალური მონაცემების ორგანიზება და შენახვა **როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად**. ხოლო, შენახულ მონაცემებზე ხორციელდება წვდომა;
- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, შესაბამისი ანგარიშგების თუ სხვა აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დამუშავებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა/გამჟღავნება;
- შესაბამისი კანონიერი მიზნის მიღწევის შემდეგ ან/და სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო დგება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების წაშლის/განადგურების საჭიროება.

ზემოაღნიშნული მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლად ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის ან ფუნქციონირების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს; თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიიჩნევა მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე მონაცემთა კანონიერებასთან, ადეკვატურობასთან, პროპორციულობასთან, მოცულობასთან, შენახვის ვადებთან, ნამდვილობასა და სიზუსტესთან დაკავშირებული პრინციპების და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას.

## პაციენტის მიღება

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, მათ შორის, პირის მიერ სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მის პერსონალურ მონაცემს. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროება დგება სწორედ პაციენტის მიღების მომენტიდან.

სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის შესახებ ინფორმაციის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის. მაგალითად, ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, როგორც წესი, არსებითია აივ/შიდსით ინფიცირებულთათვის და ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისთვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილია მონაცემთა დამუშავებლის ვალდებულება, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან თუ ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.

მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული, უნივერსალური ჩამონათვალი შეუძლებელია განისაზღვროს, თუმცა, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით, ამგვარი ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ინდივიდის უფლებების დაცვისკენ და ქმნიდეს მათი დაცვის ეფექტურ გარანტიას.



მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი:

- სამედიცინო დანესებულებებმა პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი მხედველობაში უნდა მიიღონ დანესებულების სივრცის მოწყობის ეტაპზეც. მაგალითად, ექიმთან ვიზიტის მომლოდინე პირებისთვის გამოყოფილი სივრცე უნდა მოწყოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული პაციენტის მონაცემების შემთხვევითი გამჟღავნების რისკი. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია პაციენტთა მოსაცდელი სივრცის გამოყოფით, რიგის ნომრის სისტემის დანერგვით (თითოეული პაციენტის გამოძახება მოხდეს შესაბამისი რიგის ნომრით და არა მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემის საშუალებით), ექიმთან ვიზიტის ჩანერის სისტემის ორგანიზებით და ვიზიტის ჩანიშნისას შესაბამისი ინტერვალის დაცვით. გაუმართლებელია პირის ვინაობისა და მისი ექიმთან დანიშნული ვიზიტის შესახებ ინფორმაციის მოსაცდელ სივრცეში განთავსება და მისი ხელმისაწვდომობა სხვა ვიზიტორებისთვის.
- **ჯანდაცვის პერსონალმა პაციენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა უნდა დაიცვას პაციენტთან გასაუბრების პროცესშიც.** სამედიცინო მომსახურების განევისას ჯანდაცვის პერსონალმა არ უნდა დაუშვას სხვა პირთა დასწრება. გამონაკლისს წარმოადგენს პაციენტის მოთხოვნა სხვა პირის დასწრების თაობაზე.<sup>1</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პერსონალი დარწმუნდეს, რომ ექიმთან გასაუბრების, თუ სხვა სამედიცინო პროცედურის ჩატარების პროცესში მესამე პირის დასწრების თაობაზე პაციენტის თანხმობა ნებაყოფლობითია. მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პერსონალი პაციენტს გაესაუბროს იზოლირებულ სივრცეში და თავიდან აიცილოს მესამე პირთა შემთხვევითი თუ გამიზნული შეღწევა, ან/და პაციენტთან გასაუბრების დეტალების გამჟღავნება გარეშე პირთათვის.

---

1 „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.

- საგულისხმოა, ასევე, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის უფლება, **მიიღოს სრული ინფორმაცია არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ**. ამ უფლების გათვალისწინებით, ჯანდაცვის პერსონალი უფლებამოსილია დაასწროს აღნიშნული პირები არასრულწლოვნის სამედიცინო შემოწმების, მასთან გასაუბრების პროცესს და გააცნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ. თუმცა, აქვე უნდა განიმარტოს ამ უფლების შეზღუდვის წინაპირობებიც.

მაგალითად, თუკი ქმედუნარიანად მიჩნეული პაციენტი (მაგალითად, პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა) ან 14-დან 18 წლამდე მოზარდი, რომელიც სწორად აფასებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიმართავს ექიმს სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, ან ორსულობის გამო და აღნიშნული პაციენტი მის შესახებ ინფორმაციის მშობლისთვის ან კანონიერი წარმომადგენლისთვის მიწოდების წინააღმდეგია, ჯანდაცვის პერსონალი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება.<sup>2</sup> ამ შემთხვევებში არასრულწლოვანთან განცალკევებით უნდა მოხდეს გასაუბრება.



---

2 „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი.

## საქართველოს დოკუმენტაციის ნაკრები

პაციენტის მიმართვის და მომსახურების მიღებაზე დათანხმების შემდეგ სამედიცინო მომსახურების გამწვევი ჩანაწერების წარმოების მიზნით ავსებს პაციენტის სამედიცინო ბარათს. ამ ბარათში, როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული პაციენტის შემთხვევაში აღირიცხება პაციენტის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, ინფორმაცია სამუშაო ადგილის, პროფესიის (სტაციონარული პაციენტის შემთხვევაში ასევე თანამდებობის), სისხლის ჯგუფის, ალერგიული რეაქციების, გადატანილი დაავადებების შესახებ და ა.შ. ამას გარდა, განეული მომსახურების შესაბამისად, პაციენტის სამედიცინო ბარათში აისახება ინფორმაცია პაციენტის სამედიცინო გამოკვლევების, ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკის, კლინიკური თუ დასკვნითი დიაგნოზის შესახებ და ამგვარად იქმნება მისი სამედიცინო ისტორია.<sup>3</sup>

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პერსონალური მონაცემები **უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად.**

პაციენტის შესახებ მონაცემების დამუშავებისას ჯანდაცვის პერსონალს უნდა გააჩნდეს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული **კანონიერი მიზანი**. დაუშვებელია სხვა, ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით მონაცემთა დამუშავება.

კანონიერ მიზნებზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები როგორც საკანონმდებლო მოთხოვნები, ისე სამედიცინო საქმიანობის სპეციფიკა და მონაცემთა დამუშავების რეალური საჭიროება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მონაცემთა დამუშავების კანონიერ მიზანს წარმოადგენს მაგალითად, სამედიცინო დიაგნოზის დადგენა, მკურნალობის და სამედიცინო

---

<sup>3</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანება „სამედიცინო დანუსებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომსახურებების განწევა, პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, საჯარო ინტერესის შესაბამისად მონაცემების დაარქივება, სამეცნიერო ან სტატისტიკური კვლევა და სხვა.

მონაცემთა დამუშავების ფორმა, დამუშავებული მონაცემების მოცულობა, პროპორციულობა და ადეკვატურობა დამოკიდებულია მონაცემების დამუშავების მიზანზე, ამიტომ მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტული მიზნის განსაზღვრა. მაგალითად, თუ პაციენტის დიაგნოზის დადგენის, მისთვის სათანადო მკურნალობის დანიშვნის მიზნით საჭიროა სიმპტომების, წარსულში გადატანილი დაავადებების თუ ჩატარებული მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღება, ასეთ შემთხვევაში ამგვარი ინფორმაციის შეგროვება და სამედიცინო ისტორიაში ასახვა კანონიერ მიზანს ემსახურება.

ამასთან, მნიშვნელოვანია **მონაცემთა მინიმუმაციის პრინციპის** დაცვა, რაც გულისხმობს, რომ მონაცემთა დამუშავებელმა არ უნდა დაამუშაოს იმაზე მეტი მოცულობის ან კატეგორიის მონაცემი, ვიდრე ეს კანონიერი მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

- მაგალითად, რიგ შემთხვევებში, პაციენტის წარსულში გადატანილი დაავადებების, ფიზიკური აქტივობის, სამუშაო რეჟიმისა და გარემოს შესახებ ინფორმაციის დამუშავება საჭიროა სწორი მკურნალობის დასაგეგმად, მაგრამ მინიმუმაციის პრინციპის გათვალისწინებით, სამუშაო გარემოს და რეჟიმის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტული დამსაქმებელი ორგანიზაციის თუ პროფესიის დასახელების გარეშეც.





- აგრეთვე, დროებითი შრომისუუნარობის საავადმყოფო ფურცლის ან ცნობის (ე.წ. „ბიულეტენი“) გაცემის შემთხვევაში საჭიროა შრომისუუნარობის სათანადო სახეობის მითითება (მაგალითად, საავადმყოფო ფურცლის გაცემა დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობის, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო თუ სხვა)<sup>4</sup>, თუმცა არ არის აუცილებელი შრომისუუნარობის გამომწვევი კონკრეტული მიზეზების თუ დიაგნოზის მითითება.
- ამასთან, თუ მონაცემთა დამმუშავებელს სჭირდება ინფორმაცია მხოლოდ კონკრეტული პირის შესახებ, „არ უნდა მოხდეს სხვა პირების შესახებ იმავე მონაცემების შეგროვება. მაგალითად, აივ/შიდსის ვირუსით პირის ინფიცირების შემთხვევაში, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ინფიცირებულ პირთან კონტაქტში მყოფი მესამე პირების მოძიება. თუმცა ამ პროცესში<sup>5</sup> არ არის გამართლებული ინფორმაციის შეგროვება იმ პირების შესახებ, რომელთაც უშუალო შეხება არ ჰქონიათ ინფიცირებულთან ან/და მათზე დაავადების გავრცელების რისკი არ იკვეთება.

**მონაცემთა სიზუსტისა და ნამდვილობის** პრინციპს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებითი მნიშვნელობა აქვს. მონაცემთა შეგროვებისას მნიშვნელოვანია, რომ მათი მიღება მოხდეს უშუალოდ პაციენტისგან. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტს არ შესწევს უნარი მონაცემების მისაწოდებლად და ამგვარი მონაცემების დამუშავება აუცილებელია, მათი შეგროვება შესაძლებელია კანონით დაშვებული სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ან მცირეწლოვანი პირის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლისგან.

4 „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

5 „აივ ინფექციის/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

- ზუსტი მონაცემების შეგროვების გარდა მნიშვნელოვანია, მოხდეს მათი რეგულარული განახლება რეალური საჭიროებიდან და მონაცემთა დამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე.
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს. ამასთან, საგულისხმოა, რომ გამონაკლის შემთხვევაში არაზუსტი ან არასწორი მონაცემების ჩასწორებასთან ერთად, შესაძლებელია წინა მონაცემის გარკვეული ვადით შენახვა. მაგალითად, სამედიცინო ისტორიაში ახალი დიაგნოზის დასმის შემდგომ, ძველი არასწორი სამედიცინო დიაგნოზის ჩანაწერის დატოვება აუცილებელია, რათა განიმარტოს ძველი მკურნალობის დანიშვნის საფუძველი. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ხდება მონაცემთა ჩასწორება, აუცილებელია მითითება მომხდარი შეცდომის შესახებ.

რაც შეეხება კანონიერად შეგროვებული პერსონალური მონაცემების შენახვას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს შენახვის ზუსტ ვადებს. იგი დამოკიდებულია მონაცემთა დამუშავების მიზანზე და მონაცემების შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად. ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკანონმდებლო მოთხოვნები, მონაცემთა მიმდინარე და სამომავლო ღირებულება, მათი რეალური საჭიროება და სხვა.

- მაგალითად, სტაციონარში პაციენტთა მიღების და განწერის რეგისტრაციის ყურნალი, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულებაში ინახება არქივში ჩაბარებიდან 15 წლის განმავლობაში.<sup>6</sup>

---

6 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების

- შესაბამისი მიზნის მიღწევის შემდგომ, მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრცხავი ფორმით (მონაცემთა დეპერსონალიზაცია)<sup>7</sup>.
- მონაცემთა დარქივების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მონაცემთა არქივზე წვდომის უფლების შეზღუდვა და რეგულირება, აგრეთვე, ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინება. მატერიალური დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს საკეტიან ოთახებში, სეიფებში ან სხვა სათანადოდ დაცულ საცავებში. დოკუმენტაციის განადგურების შემთხვევაში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მათი მთლიანობის აღდგენა ან გაცნობა, მაგალითად, ქალაქის გამანადგურებლის („შრედერი“) საშუალებით. ელექტრონულ მონაცემებთან წვდომა უნდა განახორციელონ მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებმა, პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით. ელექტრონულ პროგრამას უნდა ჰქონდეს მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი ქმედების, მათ შორის მონაცემების დათვალიერების, განახლების, ამოღების აღრიცხვის შესაძლებლობა; ელექტრონულ მატარებლებზე არსებული მონაცემების წაშლა/განადგურება უნდა განხორციელდეს ისე, რომ შეუძლებელი იყოს მათი აღდგენა.



---

წესის დამტკიცების შესახებ“.

<sup>7</sup> მონაცემთა დეპერსონალიზაცია გულისხმობს მონაცემთა ისეთ სახეცვლილებას, როდესაც შეუძლებელია მათი დაკავშირება კონკრეტულ პიროვნებასთან, ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს და დროს საჭიროებს.

## პერსონალური მონაცემების გაქვლავნება

პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის უფლება როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე ჯანმრთელობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით არის გარანტირებული და მოქმედებს მკაცრი კონფიდენციალურობის პრინციპი. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის არამართლზომიერი/უკანონო გამჟღავნება ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას წარმოადგენს, ვინაიდან, არსებობს მისი დაცვის გონივრული/ლეგიტიმური მოლოდინი. ამასთან, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა უკანონო გამჟღავნება და გასაჯაროება შესაძლოა გაცილებით მეტი ზიანის მომტანი იყოს პირისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია პაციენტის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაც. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს ამგვარი მონაცემების გაცემის/გამჟღავნების დასაშვებობის გამონაკლის შემთხვევებს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილია, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების (რომელიც მოიცავს ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას) დამუშავება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის არსებობისას, სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად (თუ მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად არ აქვს უნარი განაცხადოს თანხმობა), ასევე, როდესაც მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანდაცვის პერსონალის მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის.



მონაცემთა მიმართ განხორცილებული თითოეული ქმედებისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. მაგალითად, პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების საფუძველი შესაძლოა იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა, თუმცა, ამ ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემის საფუძველი - მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა.

**!** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთს მონაცემთა დამუშავებელს აკისრებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული საფუძვლით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, სამედიცინო დანესებულებამ კანონით დადგენილი წესით მოიპოვოს მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობა და მონაცემთა დამუშავების ვადით შეინახოს იგი.

### **წერილობითი თანხმობა**

როგორც წინამდებარე რეკომენდაციის მომზადების პროცესში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, საკმაოდ ხშირია ჯანდაცვის პერსონალის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება სათანადო საფუძვლის გარეშე.<sup>8</sup> გარდა იმისა, რომ რიგ შემთხვევებში საერთოდ არ ხდება მონაცემ-

---

<sup>8</sup> ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ მხარდაჭერით, ამ რეკომენდაციაზე მუშაობის პროცესში ინსპექტორის აპარატს დახმარება გაუწია ექსპერტმა - ნინო კიკნაძემ, რომელმაც საქართველოში არსებულ რამდენიმე სამედიცინო დანესებულებაში ჩაატარა გამოკითხვა. გამოკითხული 49 ექიმიდან 37-მა აღნიშნა, რომ ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პაციენტის თანხმობის გარეშე აწვდის მესამე პირს (ოჯახის წევრს) და ამ აკრძალვის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია.

თა სუბიექტისგან თანხმობის მიღება მაშინ, როდესაც არ არის სახე-ზე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სხვა კანონით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევა, პრობლემურია, ასევე, კანონის შესაბამისად თანხმობის მიღების საკითხი. **კერძოდ, თანხმობის მიღებამდე აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირება მონაცემთა დამუშავების თაობაზე.**

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, იმისათვის, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა განვიხილოთ მონაცემთა დამუშავების საფუძვლად, მას **წინასწარ უნდა მიენოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ, თანხმობას უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი და უნდა აღნიშნოს ხელმოწერით, სხვაგვარად წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით.**

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს ინფორმაცია მონაცემთა მოცულობის, დამუშავების საშუალებების თუ მონაცემთა მიმღები პირების შესახებ.

- თანხმობის საფუძველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა დამუშავების დროს დღის წესრიგში დგება თანხმობის გაცხადებაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირების საკითხი, რაც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მონაცემების მიმოცვლისას და მონაცემების არა თავად მონაცემთა სუბიექტისთვის, არამედ სხვა არა-უფლებამოსილი პირისთვის გადაცემის საფრთხის არსებობის პირობებში. მაგალითად, პაციენტისთვის სამედიცინო გამოკვლევის შედეგების მიწოდებისას, ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით ინფორმაციის მიწოდებამდე აუცილებელია პირის იდენტიფიცირება და მიზანშეწონილია დამატებითი დაცვითი მექანიზმის (მაგალითად, სატელეფონო კოდი) გამოყენება.
- მიზანშეწონილია მონაცემთა დამუშავებელმა შეიმუშავოს წერილობითი თანხმობის სტანდარტული ფორმა, რომელზე

ხელის მონერითაც პაციენტს შეეძლება თანხმობა განაცხადოს მისი მონაცემების, ამავე წერილობით დოკუმენტში მითითებული კონკრეტული, კანონიერი მიზნით დამუშავებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია თანხმობის ტექსტი იყოს მარტივად გასაგები და დოკუმენტი შეიცავდეს თარიღს, როდესაც გაიცა შესაბამისი თანხმობა.

- თანხმობასთან დაკავშირებული პირობა შესაძლოა მითითებულ იქნეს კონკრეტული მომსახურების განწვევის შესახებ ხელშეკრულებაშიც. მაგალითად, როგორც წესი, პაციენტის თანხმობის საფუძველზე ხდება სამედიცინო დანესებულებების მიერ სადაზღვევო კომპანიებისათვის პაციენტის შესახებ ინფორმაციის მინოდებაც. ამგვარი თანხმობა შესაძლოა გამოხატული იყოს პაციენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების ცალკეულ პირობაზე დათანხმებით.

მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის პაციენტის შესახებ მონაცემთა მინოდება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამედიცინო დანესებულება დარწმუნდება თანხმობის არსებობაში. ამ მიზნით შესაძლოა სამედიცინო დანესებულებამ სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვროს პაციენტისგან თანხმობის მოპოვების სტანდარტული წესი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სამედიცინო დანესებულებამ დაწერგოს სადაზღვევო კომპანიის მიერ პაციენტისგან თანხმობის მიღების მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმი. მაგალითად, თანხმობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულების



მინოდების ფორმა, პერიოდული და შერჩევითი გადამონმების უფლებამოსილება, პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დამსაქმებელი წარმოადგენს პაციენტის დამზღვევეს (იხდის სადაზღვევო პრემიას), მას არ უნდა გადაეცეს ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ გადაცემაზე არსებობს პაციენტის წერილობითი თანხმობა.

### **სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინფორმაციის დახვეწა**

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს პაციენტის თანხმობის გარეშე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ოჯახის წევრებისთვის გამჟღავნების შესაძლებლობას. მაგალითად, თუკი პირი არასრულწლოვანია ან არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ან თუ პაციენტს სხვა რამ აქვს განცხადებული წარსულში, როდესაც მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.<sup>9</sup>

რიგ შემთხვევებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, თუმცა, მონაცემთა სუბიექტს არ შესწევს უნარი განაცხადოს მისი ამგვარი მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა.


### **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დახვეწა**

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების ფარგლებში. მნიშვნელოვანია კონკრეტული დაავადების მქონე პირთა აღრიცხვა, რათა მათ დაუწესდეთ გარკვეული შეღავათები მედიკამენტოზურ მკურნალობაზე. აგრეთვე, ქვეყანაში ეპიდემიის დროს საკარანტინო ზონაში მყოფი ადამიანების შესახებ მონაცემების აღრიცხვა მნიშვნელოვანია,

---

<sup>9</sup> „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი.





რათა მოხდეს ინფორმაციის სამედიცინო დანესებულებებისათვის მიწოდება მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.


ასევე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ პირებს აქვთ ვალდებულება განეული მომსახურების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

### **მონაცემთა გაქვლავნების სხვა შემთხვევები**

- მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სამედიცინო დანესებულებამ შესაძლოა მონაცემები მიაწოდოს სამედიცინო საქმიანობის მაკონტროლებელ ორგანოს<sup>10</sup> მაგალითად, პაციენტის განცხადების (საჩივრის) განხილვის ფარგლებში.
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის თუ მისი შემცველი დოკუმენტაციის მოთხოვნით სამედიცინო დანესებულებას შესაძლოა მიმართოს სამართალდამცავმა ორგანომ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი იქნეს სასამართლოს განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილება. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს მოთხოვნილი ინფორმაცია პაციენტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე შეიძლება გადაეცეს.

10 სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

- ნებისმიერი სამედიცინო ჩანაწერი, კვლევის შედეგები თუ სხვა ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს უშუალოდ მონაცემთა სუბიექტს. თუმცა, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სხვა პირისათვის გადაცემა პაციენტის ნების საფუძველზე. მაგალითად, თუკი პაციენტმა სამედიცინო დაწესებულებაში ჩაიტარა კვლევა, რომლის შედეგის ასაღებად თვითონ ვერ ახერხებს მისვლას, შესაძლოა, მან წერილობითი თანხმობის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებას სთხოვოს მის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მისი წარმომადგენლისთვის გადაცემა. ნებისმიერ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების გამწევი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ მოთხოვნილ ინფორმაციას სწორედ სათანადოდ უფლებამოსილ პირზე გასცემს.
- ასევე, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ოჯახის წევრზე ან სხვა ნათესავზე გაცემისას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინფორმაციას ითხოვს პაციენტის ნათესავი, არ ნიშნავს, რომ მისი ინტერესების დასაცავად მოქმედებს და თითოეული მსგავსი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.
- სამედიცინო მომსახურების გაწევის ფარგლებში ჯანდაცვის პერსონალისთვის ცნობილი ხდება, მათ შორის, პაციენტის პირადი ცხოვრების შესახებ სხვა დეტალები. სამედიცინო მომსახურების სხვა სამედიცინო პერსონალისთვის გადაბარების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მართალია არსებობს გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, თუმცა იმგვარი დეტალების გამჟღავნება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან, ვერ იქნება გამართლებული.
- ჯანდაცვის პერსონალი ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს სამართლიანად და კანონიერად, არ შელახოს პირის ღირსება. მაგალითად, თუკი პაციენტმა ექიმს გაანდო ინფორმაცია პირადი ცხოვრების ინტიმური



დეტალების შესახებ, ამ ინფორმაციის გამჟღავნება საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, პირის ღირსების შემლახავი ფორმით, მისი არაკეთილსინდისიერად წარმორჩენის მიზნით დაუშვებელია.

მაგალითად, თუკი მოქალაქე საჯაროდ გამოთქვამს უკმაყოფილებას რომელიმე სამედიცინო დანესებულების მიმართ და განაცხადებს, რომ მას არ გაენია სათანადო მომსახურება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს, სამედიცინო დანესებულების მხრიდან ამგვარი ბრალდების საპასუხოდ აღნიშნული მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ განეული მკურნალობის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროება (მაგალითად, სოციალურ ქსელში, ვებგვერდზე ან სხვა მედიასაშუალებებით) ვერ იქნება გამართლებული.


### **გამქლავნაპული ინფორმაციის აღრიცხვის კალღაპულა**

იქიდან გამომდინარე, რომ მონაცემთა გამჟღავნება არის მონაცემთა დამუშავების ფორმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საკმაოდ მძიმე შედეგი მონაცემთა სუბიექტისათვის, კანონმდებელი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს, აღრიცხოს მონაცემთა გამჟღავნების ყველა შემთხვევა.

ზემოსენებული ვალდებულების შესასრულებლად, აუცილებელია მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელმა დაარეგისტრიროს შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი პერსონალური მონაცემის გამჟღავნება მოხდა (მაგალითად, სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი, დიაგნოზი, დანიშნული მკურნალობის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.);
- ვისთვის მოხდა პერსონალური მონაცემების გამჟღავნება (მაგალითად, კონკრეტული სადაზღვევო კომპანია, შესაბამისი საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით);
- პერსონალური მონაცემების გამჟღავნების თარიღი;
- პერსონალური მონაცემების გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი (მაგალითად, სადაზღვევო კომპანიისთვის გადაცემის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა).

ზემოაღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვა შესაძლებელია როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. ამასთან, მითითებული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს პირის პერსონალურ მონაცემებთან ერთად, მათი შენახვის ვადით.



# პერსონალური მონაცემების ელექტრონულ სისტემაში პროცესი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაიზარდა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების ინტენსივობა და გაადვილდა მონაცემთა ურთიერთგაცვლა. ელექტრონულად დაცული მონაცემების მიმართ განხორციელებული მარტივი მოქმედებით შესაძლებელია პირის შესახებ საკმაოდ დიდი მოცულობით ინფორმაციის მოძიება/გაცნობა, რაც, რიგ შემთხვევებში, ზრდის მათი არამიზნობრივი გამოყენების საფრთხეებს.

ამას გარდა, ელექტრონულ სისტემაში არსებული ტექნიკური შეცდომის, ხარვეზის, მასზე არაუფლებამოსილი წვდომის, თუ სხვა უკანონო ქმედების შედეგად შესაძლებელია მოხდეს არაერთი პირის შესახებ და განსაკუთრებით დიდი მოცულობით მონაცემების უკანონო თუ შემთხვევითი გამჟღავნება, შეცვლა და წაშლა. აღნიშნულმა შესაძლოა არსებითი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტის კანონით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მონაცემები აღირიცხება ელექტრონულადაც და ხელმისაწვდომია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ან/და შესაბამისი საჭიროებიდან გამომდინარე მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის.<sup>11</sup>

პერსონალური მონაცემების ელექტრონულად დამუშავების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ელექტრონულ მონაცემებზე უკანონო წვდომით, უნებლიე შეცდომით ან სისტემური ხარვეზის გამო შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანის მიადგეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს.

---

11 მაგალითად, „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის №01-2/ნ ბრძანების შესაბამისად.

მონაცემთა დამმუშავებელმა თითოეული სახის მონაცემებთან მიმართებით უსაფრთხოების სტანდარტების დადგენისას უნდა შეაფასოს ამ ინფორმაციის მოცულობა და შინაარსი. ამასთანავე მხედველობაში უნდა მიიღოს სუბიექტისთვის ზიანის მიყენების სავარაუდო საფრთხეები. ამ პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- მონაცემთა დამმუშავებელმა შეიმუშაოს უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც განერს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს;
- მონაცემთა დამმუშავებელმა განსაზღვროს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი და მოხდეს თანამშრომელთა ინფორმირება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
- უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულებისთვის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს, ასევე, თანამშრომელთა პასუხისმგებლობის განისაზღვრა უსაფრთხოების წესების უგულებელყოფისათვის (მაგალითად, შრომით ხელშეკრულებაში ან თავად უსაფრთხოების პოლიტიკაში).

პერსონალური მონაცემების დაცვისათვის საჭიროა არა მარტო ადეკვატური საშუალებების დანერგვა, არამედ უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზომების მიღებაც. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გაციფრულების პირობებში გარანტირებული უნდა იყოს იმ პროგრამული უზრუნველყოფების უსაფრთხოების მაღალი ხარისხი, რომლებშიც თავმოყრილია პერსონალური მონაცემები. ასევე, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მექანიზმების გათვალისწინება მოხდეს პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავების თავდაპირველ ეტაპზევე.

ელექტრონულ სისტემაში აღრიცხული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია, მათ შორის, შემდეგი:

- მონაცემთა ბაზაზე თუ სხვა სამედიცინო მოდულებზე წვდომა გააჩნდეს პირთა შეზღუდულ წრეს და ამასთანავე,

მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა მონაცემთა მხოლოდ იმ ოდენობაზე თუ კატეგორიაზე, რაც აუცილებელია უშუალოდ მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. მაგალითად, ექთანს, რომელიც პაციენტს აცრას უკეთებს, არ უნდა მიუწვდებოდეს ხელი ამავე პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ჩანაწერებზე, რადგან არ საჭიროებს ამ ინფორმაციას;

- განხორციელდეს კონტროლი წვდომაზე უფლებამოსილი პირების მიერ მათი უფლებების კანონიერად გამოყენებაზე. პროგრამული უზრუნველყოფები უნდა ითვალისწინებდეს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის თითოეული შემთხვევის დადგენის საშუალებასაც (ე.წ. „ლოგირების სისტემა“); მაგალითად, რომელმა მომხმარებელმა („user“) რა დროს რომელ მონაცემზე განახორციელა წვდომა და რა მოქმედება შეასრულა;
- რაც შეეხება ელექტრონულად აღრიცხული მონაცემების ნაშლას, მაგალითად, მონაცემთა დამუშავებისთვის კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, ეს მონაცემები უნდა ნაიშალოს ყველა არსებული ბაზიდან.

გასათვალისწინებელია, რომ პერსონალურ მონაცემებზე უკანონო წვდომასა და მონაცემების უკანონო გამჟღავნებაზე პასუხისმგებელია მონაცემთა დამმუშავებელი, შესაბამისად, სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად სწორედ მან უნდა მიიღოს სათანადო პრევენციული ზომები.



## ვილაოთვალოთვალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შესაძლოა განხორციელდეს ვიდეოთვალთვალი. ამგვარი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი:

- **პირის უსაფრთხოება** - მაგალითად, სამედიცინო დანესებულების ვიდეოთვალთვალი შესაძლოა განხორციელდეს პაციენტების, ჯანდაცვის პერსონალის ან/და სხვა პირთა უსაფრთხოების დასაცავად.
- **საკუთრების დაცვა** - მაგალითად, ვიდეოთვალთვალის განხორციელება იმ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ძვირადღირებული ტექნიკა ან სხვა აპარატურა და სხვა გზით საკუთრების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია.
- **არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვა.**
- **საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.**

ვიდეოთვალთვალის განხორციელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დაუშვებელია. მაგალითად, დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სამედიცინო პერსონალის ქცევის კონტროლის მიზნით.

ვიდეოთვალთვალი უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელის (შენობის შესასვლელი, დერეფანი, კიბის უჯრედი, ლიფტი) და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად. იმ სივრცეში, სადაც ხორციელდება ვიდეოთვალთვალი, თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.

სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით და თუ ამ მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტე-



მის გამოყენებისას შესაბამის დანესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა გამოავლინა ფაქტი, როდესაც ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობდა პაციენტის გასინჯვის ოთახში. აღსანიშნავია, რომ ვიდეოთვალთვალი, მით უფრო პაციენტის გასინჯვის ოთახში, წარმოადგენს პირად ცხოვრებაში ჩარევის რადიკალურ ფორმას, რა დროსაც აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებელმა გაანალიზოს არსებული საფრთხე და დაასაბუთოს ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია.

კანონით ცალსახად აკრძალულია ვიდეოთვალთვალის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში (მაგალითად, სამედიცინო პერსონალის გამოსაცვლელ ოთახში) და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში<sup>12</sup>.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ვიდეოჩანანერები შესაძლოა შეიცავდეს, მათ შორის, ინფორმაციას პირის მიერ სამედიცინო დანესებულებისთვის მიმართვის შესახებ (რაც ასევე წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს), მნიშვნელოვანია ამგვარი ჩანანერების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ასევე მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, დანესებულებამ წერილობით განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების საკითხები, მათ შორის, წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შევბუღების პერიოდში.


საყურადღებოა, რომ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელ დანესებულებას (მათ შორის, ჯანდაცვის დანესებულებას) კა-

---

12 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

ნონით ეკისრება ვალდებულება, შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა.<sup>13</sup> სისტემა ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, სხვადასხვა ფაილურ სისტემებთან (მაგალითად, ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა, პაციენტების სამედიცინო ისტორიებისთვის განკუთვნილი ფაილური სისტემა და სხვა) დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რომელიც მოიცავს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალურ აღწერილობას. ფაილური სისტემის კატალოგი ინსპექტორს უნდა წარედგინოს ელექტრონულად, ვებგვერდის - [www.catalog.pdp.ge](http://www.catalog.pdp.ge) - მეშვეობით.<sup>14</sup>



---

13 მონაცემთა ბაზა, სადაც პერსონალური მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით.


14 ფაილური სისტემის კატალოგის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 და მე-20 მუხლებში.

## სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ნაჩოვა

სამეცნიერო კვლევების პროცესში პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება ერთი მხრივ ხელს უწყობს სამედიცინო განათლების მიღებას, თუმცა, მეორე მხრივ, შეიცავს პირის უფლებათა დარღვევის, მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების საფრთხეებსაც.

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების სამეცნიერო მიზნით დამუშავების საჭიროება უნდა შეფასდეს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.
- კვლევა უნდა განხორციელდეს კანონიერი მიზნებით, ეთიკური ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემთა კონფიდენციალურობა.
- მკვლევარი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა როგორც კვლევის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგაც.
- მონაცემთა სუბიექტს წინასწარ უნდა მიეწოდოს მკაფიო და სრულყოფილი ინფორმაცია დაგეგმილი კვლევის შესახებ, რომელიც უნდა ასახავდეს დაგეგმილი სამეცნიერო კვლევის ხასიათს, მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებულ პირობებს, ასევე, ინფორმაციას მონაცემთა შენახვის, ხელმისაწვდომობისა და შესაძლო გადაცემის შესახებ.
- კვლევით პროექტში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც წინასწარი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა, ან თუ ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა.

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების სამეცნიერო მიზნებისათვის დამუშავებისას, აუცილებელია, რომ მონაცემები არ იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
- თუ მონაცემთა სუბიექტი შეწყვეტს კვლევაში მონაწილეობას, ამ მიზნებით დამუშავებული მისი მონაცემები უნდა განადგურდეს ან მოხდეს დე-პერსონალიზაცია (გულისხმობს მონაცემთა იმგვარ სახეცვლილებას, რაც კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირების შესაძლებლობას გამორიცხავს) და ამის შესახებ უნდა ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს.



## ბარლახელი პირის მონაცემთა დამუშავება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჯანდაცვის პერსონალმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია პაციენტის შესახებ უნდა დაიცვას პირის გარდაცვალების შემდეგაც.<sup>15</sup> გამონაკლისის სახით, შთამომავლებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, რომელიც ამცნობს მათ ჯანმრთელობის შესაძლო რისკის შესახებ.<sup>16</sup>

ამასთან, ჯანდაცვის პერსონალი მოვალეა, დაიცვას სამედიცინო საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>17</sup>

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი პირის გარდაცვალების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა დამუშავებას, გარდა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლებისა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შემთხვევაში გამონაკლისი შემთხვევების არსებობისა, დასაშვებად მიიჩნევს გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, ან თუ არსებობს მისი მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის თანხმობა.
- პირის გარდაცვალების შემდგომ მისი მონაცემების, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება დასაშვებია ასევე, თუ ეს აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებისათვის. მაგალითად, შესაძლოა, ანდერძის ნამდვილობისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი

---

15 „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი.

16 სხვა გამონაკლისები იხ. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლში.

17 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი.

შემდგენის ჯანმრთელობის მდგომარეობას ანდერძის შედგენის მომენტში.

- გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემები ასევე, შესაძლებელია, გამჟღავნდეს ისტორიული, სტატისტიკური და კვლევითი მიზნებისათვის.
- დაუშვებელია იმ გარდაცვლილი პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელმაც გარდაცვალებამდე წერილობით გამოხატა ნება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვის შესახებ. თუმცა, აღნიშნული აკრძალვა არ მოქმედებს, როდესაც სახეზეა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.
- გარდაცვლილი პირის სახელის, სქესის, დაბადების და გარდაცვალების თარიღების დამუშავებისათვის არ არის საჭირო კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლების არსებობა.



## მედიასთან ურთიერთობა

ხშირად ჯანდაცვის პერსონალი მედიასაშუალებებში ღიად საუბრობს სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მართალია არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ნაწილში კანონი სრულად ვრცელდება ჯანდაცვის პერსონალზე. მაგალითად, თუკი ჯანდაცვის პერსონალი მედიას მიაწვდის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების განვებისას, მასზე გავრცელდება კანონის მოქმედება.

ზოგიერთ შემთხვევაში ჯანდაცვის პერსონალის მიერ პაციენტის მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. მაგალითად, სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდგომ საჯარო ინტერესის საგანს შესაძლოა წარმოადგენდეს. თუმცა, როგორც წესი, ვერ იქნება გამართლებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ იმგვარი დეტალების დაკონკრეტება, როგორიცაა კონკრეტული ჩივილები, სიმპტომები, განუული მკურნალობა და სხვა.



## მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებამ არ უნდა შეზღუდოს პირის უფლება, მიიღოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. მონაცემთა დამმუშავებელს აქვს ვალდებულება, მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს პაციენტისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

პაციენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე, გაეცნოს საკუთარ სამედიცინო ჩანაწერებსა და ავადმყოფობის ისტორიას. პაციენტს ამ ინფორმაციასთან წვდომა აძლევს საშუალებას, აკონტროლოს მისი პერსონალური მონაცემების დამმუშავების კანონიერება.

მონაცემთა დამმუშავებელი შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში ვალდებულია მიანოდოს მას შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი მონაცემები მუშავდება მის შესახებ;
- მონაცემთა დამმუშავების მიზანი;
- მონაცემთა დამმუშავების საფუძველი;
- მონაცემთა შეგროვების წყარო;
- ვისზე იქნა გაცემული მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი - იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემები საჯაროა, ან ამ ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის.

ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მონაცემთა დამმუშავებელს მიმართოს შეკითხვით, აქვს თუ არა ამ უკანასკნელს მის შესახებ რაიმე სახის მონაცემი.

პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ



მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პირს უფლება აქვს სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვოს სამედიცინო ჩანაწერების ასლი და არა დედანი.<sup>18</sup>

კანონი არ განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოთხოვნის პროცედურას; თუმცა, შესაძლოა მონაცემთა დამმუშავებელს ჰქონდეს ინფორმაციის გამოთხოვის შიდა ორგანიზაციული სტანდარტები, მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებელმა მოითხოვოს დამატებითი საიდენტიფიკაციო მონაცემი, რათა დარწმუნდეს, რომ ინფორმაციას ითხოვს მონაცემთა სუბიექტი და არა სხვა არაუფლებამოსილი პირი. აღნიშნული მოთხოვნა პერსონალური მონაცემების, მით უფრო ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის ფარგლებში გამართლებულია.

ინფორმაციის თუ დოკუმენტაციის მოთხოვნის უფლებასთან ერთად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ მოითხოვოს მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გასწორება, განახლება, შეცვლა, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაცემები არის არასრული, არაზუსტი, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნის დარღვევით. ეს მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით და მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი მიღებიდან 15 დღის ვადაში ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.


მონაცემთა სუბიექტის ზემოაღნიშნული უფლებები არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, რა დროსაც დასაშვებია მათი შეზღუდვა, მაგალითად, როდესაც ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივი

---

18 „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

უსაფრთხოების ინტერესებს. აგრეთვე, პირს შესაძლოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ეცნობოს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ინფორმაციის მიწოდება სერიოზულ ზიანს მიაყენებს პაციენტის ჯანმრთელობას.<sup>19</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი თვლის, რომ დაირღვა მისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება, მას შეუძლია დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართოს: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს; ხოლო, თუ მონაცემთა დამმუშავებელი არის საჯარო დაწესებულება, ასევე, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.




---

19 „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლი.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Human Rights 4All



პერსონალურ მონაცემთა დაცვის  
ინსპექტორის აპარატი